

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნონა მურვანიძის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის (პერიოდი: 2014 წლის 14 ივლისიდან 2015 წლის 14 ივლისამდე) მოსახლეობისთვის წარდგენის

#### ოქმი № 1

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

ადმინისტრაციული ერთეული: ჩოჩხათი, სოფელი შრომისუბანი.

შეხვედრის ჩატარების თარიღი 20.10.2015 წელი 13.00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ. დეპუტატი ნონა მურვანიძე „ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია“ პარტიის წევრი, საკრებულოს აპარატის სამდივნოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ კოხალაშვილი, საკრებულოს აპარატის სამდივნოს სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მათა კუპატაძე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ნონა მურვანიძე შეხვდა სოფელ შრომისუბნის ადგილობრივ მოსახლეობას. მან აღნიშნა, რომ არის უმცირესობის წევრი და ყოველთვის კონსტრუქციულად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ. დეპუტატი აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს სხდომების მუშაობაში და მაქსიმალურად ცდილობს სოფლისთვის პრიორიტეტული პრობლემების დაყენებას. მან ასევე აღნიშნა, რომ მოსახლეობისთვის ანგარიშის ჩაბარება კარგი ტენდენციაა და მოუწოდა მოსახლეობას მეტი აქტიურობისაკენ, როგორც დეპუტატების, ასევე საკრებულოს და გამგეობის ხელმძღვანელების მისამართით.

ნონა მურვანიძემ განმარტა რომ ის არის ორი კომისიის „სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის“ და „სიერციტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის“ წევრი. დეპუტატმა აღნიშნა, რომ „სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის“ სხდომებში აქტიურად იყო ჩართული სოციალური პროექტების განხილვისას, თუმცა სოფელში, ისევე, როგორც ზოგადად ქვეყანაში სოციალური ფონი იმდენად დაბალია, რომ უკეთესობა არ იგრძნობა. ამის ერთ-ერთ მიზეზად მან პრიორიტეტების არასწორად დალაგება დაასახელა. მისი აზრით უმჯობესი იქნებოდა უფრო მეტი თანხები რაიონის ბიუჯეტიდან გამოყოფილიყო სოციალურ პროგრამებზე და არა საფეხბურთო კლუბ „გურიას“ მიმართულებით. კატეგორიულად წინააღმდეგი იყო რაიონის 2015 წლის ბიუჯეტიდან საფეხბურთო კლუბ „გურიას“ დასაფინანსებლად 1,5 მილიონი ლარამდე გამოყოფილიყო. მითუმეტეს არავის არ აქვს უფლება ხალხის ფული მათი

ხების გარეშე განკარგოს, თუმცა ის მიესალმება ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, მაგრამ უმჯობესი იქნება თუ ამ მიმართულებით თანხებს გამოყოფს სახემწიფო და მძიმე ტვირთად არ დააწვება რაიონის ისედაც მწირ ბიუჯეტს. ჯერ კიდევ ბევრი ზალაა გასარემონტებელი. იმის გამო, რომ საკოლმეურნეო ტყეები არის სახემწიფო სატყეო ფონდის საკუთრება და არ არის მუნიციპალიტეტის საკუთრება, იქმნება პრობლემები შემის მოჭრის დროს. მან ამ

მიწების აღრიცხვის საკითხი დააყენა საკრებულოს სხდომაზე, მაგრამ ამისათვის საჭირო თანხის გამოყოფა ვერ მოხერხდა. ასევე დიდ პრობლემას უქმნის მოსახლეობას სოფელ მოედანში არსებული კარიერი. მან ეს საკითხი დააყენა საკრებულოს სხდომაზე და გამგეობაშიც. მართალია სამუშაოები დროებით შეჩერებულია, მაგრამ საკითხი ზოლომდე არ არის მოგვარებული.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა გიორგი გურგენაძემ გულისტკივილი გამოთქვა, რომ საზოგადოებას აქვს სხვა მოთხოვნები და ხელისუფლება მუშაობს სხვა მიმართულებით, საჭიროა მიიღონ ისეთი კანონები, რომ ადამიანებს გაუაღდეილდეს ყოფა და არა დაუმძიმდეს. გართულებულია პროცედურები შემის მოჭრაზე და ხრემის ამოღებაზე. ნებართვის ასაღებად საჭიროა მუნიციპალიტეტში ჩასვლა, რასაც ყველა ვერ ახერხებებს.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა რაულ სარიშვილმა და ნოდარ გურგენაძემ აღნიშნეს, რომ აუცილებელია მოგვარდეს სახერხის პრობლემა, ადრე სოფელში სამი სახერხი იყო და ახლა ერთიც არ ფუნქციონირებს. მდინარაძეების უბანში 15 ოჯახს გზა აქვს ჩაკეტილი. პრობლემას გაეცნო სოფლის გამგებელი და დეპუტატი სარიშვილი, მაგრამ უსახსრობის გამო პრობლემა ჯერ-ჯერობით მოუგვარებელია.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა ნოდარ გუჯაბიძემ აღნიშნა, რომ მოედნის ცენტრში ხიდია ჩანგრეული და საჭიროა დროულად ჩატარდეს სარეაბილიტაციო სამუშაოები. ის ასევე დაინტერესდა კარიერის საკითხითაც, ხრემის გატანის გამო მდინარე სუფსის გასწვრივ გაკეთებულ გაბიონებს ძირი ევლება და ამაზე დროული რეაგირებაა საჭირო.

დეპუტატმა ნონა მურვანიძემ აღნიშნა, რომ ნებისმიერი, სოფლის პროგრამის ფარგლებში მოსაგვარებელი პრობლემები, განხილული უნდა იქნეს მოსახლეობასთან. მოსახლეობის აქტიურობით მოხდა კოტრიკაძეების უბანში 50 მეტრი გზის საფარის დაგება, 2014 წელს ძიმისტარიშვილების უბანში თითქმის 9 ათასი ლარი დაიხარჯა გზის მოსაწესრიგებლად, თუმცა მხოლოდ მოხრეშვითი სამუშაოები ჩატარდა. ადმინისტრაციულ შენობაში გაკეთდა ერთი ოთახი, კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნოდ გაცემული დანაპირების შესრულება მრავალჯერ შეახსენა სოფელ ჩოჩხათის მოსახლეობამ ადგილობრივ ხელისუფლებას, უკიდურეს ზომებსაც მიმართეს და შედეგად 2015 წელს ჩაისვა ჩოჩხათი-გულიანის გზა პროექტში. სოფელში იმდენი პრობლემაა, რომ შრომისუნისთვის გამოყოფილი 15000 ათასი მიზერულია. თითქმის ერთი წელია ვითხოვთ ტარიელაძეების უბანში დაზიანებული გზის მეორადი შაალებით შეკეთებას. მან კიდევ ერთხელ მოუწოდა



მოსახლეობას აქტიურობისაკენ, რათა თქვენი ჩართულობით მოხდეს სოფლისთვის საჭიროების განსაზღვრა.

დეპუტატმა კიდევ ერთხელ მიაჩინა ადგილობრივ ხელისუფლებას ფუჭად გადაყრილი ფინანსების გამო, პროექტი უნდა განხორციელდეს საბოლოო შედეგის მისაღებად და არა მხოლოდ სოფლის პროგრამით გამოყოფილი ბიუჯეტის ასათვისებლად.

ადგილობრივი მაცხოვრებელი შიური გვიჩა დაინტერესდა, თუ რა დონეზეა მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის პროგრამა, ვიცი, რომ ხორეთის წყალზე 89 ათასი დაიხარჯა, მაგრამ მილებში უმეტესად წყალი არ გადის, ხოლო სადაც მოდის დაზიანებულია. მოსაწესრიგებელია სათავე ნაგებობები და მილებს ჭირდება რეკონსტრუქცია.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა თინა გუჯაბიძემ ითხოვა დახმარება ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩასატარებლად. მან აღნიშნა, რომ ცხოვრობს ჩიხში, სადაც ყველა მხრიდან მოდენილი წყალი იყრის თავს და თუ არ ჩატარდება ნაპირსამაგრი სამუშაოები, წყალდიდობის დროს საცხოვრებელ სახლსაც წაიღებს მოვარდნილი წყლის ნაკადი.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა ლუიზა ვაშაყმაძემ, რომელიც პატრონობს ორ ლტოლვილ ბავშვს, ითხოვა შემთხვევით დახმარება.

საცხოვრებელი სახლის სახურავის პრობლემა აქვს ქალბატონ ლილი ხომერიკს. მართლაც მამია გუჯაბიძეს შეტანილი აქვს განცხადება დახმარებაზე, მაგრამ რეაგირება ჯერ-ჯერობით არ ყოფილა.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა ლაშა გოგიჩაიშვილმა აღნიშნა, რომ გზა ავარიულ მდგომარეობაშია კოსტავების შესახვევში, საქმის კურსში იყვნენ დეპუტატი სარიშვილი და წარმომადგენელიც, მაგრამ შედეგი არ ჩანს, რადგან გოგიჩაიშვილის თქმით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები თვლიან, რომ „კოსტავას მოსხვევში ჩვენი ამომრჩევლები არ ცხოვრობენ“.

მოსახლეობამ მადლობა გადაუხადა მაჟორიტარ დეპუტატს ყურადღებისა და გვერდში დგომისთვის. დეპუტატმა ნონა მურვანიძემ თავის მხრივ აღუთქვა ხალხს, რომ იქნება უფრო კონსტრუქციულად კრიტიკული და მომთხოვნი, როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ. ამასთან, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მაქსიმალურად შეეცდება სოფლის პრობლემების წარმოჩენას და მოგვარებას.

პატივისცემით,  
პარტია „ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია“  
დეპუტატი

ნონა მურვანიძე.